მწყემსი

13335

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

მპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 21 | 1883—1902 | 15 ნოემბერი

ეკლესიაში კითხვის შესახებ.

ერთ უმთავრეს მიზეზად, რომელიც გულს უგრილებს ეკლესიაში მლოცველთა წირვა-ლოცვის მოსმენაზე, ჩვენ მიგვაჩნია საეკლესიო ღვთის მსახურების წიგნების სუსტად ბ დაუდევრად კითხვა. ამისათვის მეტი არ იქნება, რომ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ საეკლესიო წიგნების კითხვის შესახებ.

დიადი მნიშვნელობა ეკლესიაში კითხვისა მდგომარეობს იმაში, რომ ის შეადგენს ღვთის მსახურების შესამჩნევ ნაწილს, რომელიც არის გამომხატველი ჩვენი სულიერი ერთობისა ღმერთთან. ცხადია აქედან, რომ საეკლესიო კითხვა უნდა იყოს საუკეთესო და სრული, რამდენადაც ღმერთი მაღალია ყოველსა ზედა და რამდენადაც ჩვენი დამოკიდებულება ღმერთთან უნდა ყოველისფერში აღიბეჭდოს საუკეთესო ღირსებითა და თვისებებით.

თუ კი ამა ქვეყნის დიდებულია და მეფეთა წინაშე გზავნიან ხოლმე წარმომადგენლებს, თავიანთი სურვილებისა და თხოვნის გამოსათქმელად, რომლებიც საუკეთესოდ ასრულებენ ამ მინდობილებას, მით უმეტეს საუკეთესოდ უნდა ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ეკლესიის წარმომადგენელნი, რომელთაც მრავალი ხალხის გრძნობა და ვედრება უნდა აღამაღლონ მეფეთა მეფის წინაშე, წინაშე ღმრთისა და მასთან მდგომარეთა—ღვთისმშობლისა და ყოველთა წმიდათა წინაშე.

საეკლესიო კითხვა—ეს ღვთის საქმეა, წინასწარმეტყველი ღაღადებს: წყეულ იყოს ყოველი, რომელმანც საქმე ღვთისა შეასრულოს დაუდევრად. დაუდევრობას ეპირდაპირება მეცადინეობა. ამიტომ

კეთილი მკითხველნი გულმოდგინედ უნდა მსახურებდენ ღმერთსა.

მაგრამ, როგორ უნდა შეასრულონ ეს დიადი და წმიდა მოვალეობა საეკლესიო მწიგნობრებმა? რითი უნდა ხელმძღვანელობდნენ იგინი?

ეს დიადი და წმიდა საქმე უნდა სავსებით სრულდებოდეს. გარნა ყოველივე უნაკლულო საქმეს აქვს საფეხურები, რომელნიც მიიყვანენ მას სრულ სისრულემდინ. აგრედვე თავის თავად ცხადია, რომ საეკლესიო კითხვაც სხვა-და-სხვა ღირსებისაა: ცუდი, დაუდევარი, ხან-და-ხან უწესოც, რომლისათვისაც დაბნაშავენი სასტიკად დაისჯებიან.

საეკლესიო ქართული კითხვის ხარისხები უმეტესად შესამჩნევი მხოლოდ სამია.

პირველ ხარისხოვნება კარგი საეკლესიო კითხვისა მდგომარეობს შეუცდომელ კითხვაში. ცხადია, რომ ნიშნებსაც უნდა დიდი ყურადღება ექცეოდეს, მძიმეზედ ცოტათი უნდა შეჩერება, ორ წერტილზედ უფრო დიდხანს, როდესაც კი რამე ერთიანი საკითხი თავდება მაგ. (ფსალმუნი) და რომელსაც რამე გალობა ან კვერექსი უნდა მოყვეს, საჭიროა უკანასკნელი სიტყვების გაგრძელება და გალობით წარმოთქმა.

აუჩქარებლობა კითხვის დროს, შესამჩნევი ღირსებაა. აუჩქარებლობას თხოულობს, როგორც კითხვის მექანიკა, ისე მსმენელთა ყურადღება.

ყველამ იცის, თუ როგორი ძნელი შესათვისებელია სწორი კითხვის მექანიზმი, რადგანაც ამისათვის საჭიროა ყოველივე ასოს გარჩევა, მერე სიტყვად შეერთება, მერე გონების ზედგავლენითა და ხმოვანი ორგანოების საშუალებით წარმოთქმა. ყოველ სიტყვას მოსდევს მეორე, მესამე, მეოთხე... არა ნაკლები მუშაობა სჭირდებათ მსმენელთაც, რომელნიც ლოცულობენ საეკლესიო მწიგნობრის კითხვის დროს.

კითხვის აუჩქარებლობა სასარგებლოა თვით მკითხველისათვის, რომელსაც ამითი საშუალება ეძლევა თავის დროზედ შესვენებისა, განსაკუთრებით, როდესაც გრძელი საკითხავია. ასეთი მკითხველი თანდათან ეჩვევა გარკვეულ და სხარტულ კითხვას.

პირიქით, მწიგნობარი, რომელიც ჩქარა კითხულობს, თანდათან იპარავს სიტყვებს და მთელ წინადადებებს, ასე რომ იგი ვეღარ ახერხებს სწორ კითხვას, რადგან ის კი არ კითხულობს, არამედ ბარაბანის ჯოხივით ათამაშებს ენას წიგნზედ, რომლის დროსაც ისმის დაუსრულებელი ბუბუნი. ეს ეგრედ წოდებული „დიაკვნური“ კითხვაა, უაზრო, რომელზედაც თვით ამისთანა უბედურნი მწიგნობარნიც კი იტყვიან ხოლმე: გამოვრეკე სამრეკლოდან ბ მორჩა!.. მაგრამ კაცის ამგვარად სპილენძის საჯღერელად გახდომა სირცხვილია და ცოდვაც არის. უფრო ცოდვაა კიდევ იმის თქმა, რომ ენა გაფუჭებულია და არ შეუძლია სწორა წაკითხვა „მამაო ჩვენო“-სი და „მრწამსი“-საც კი.

პირველი გაბრთხილება ენა მოტეხილობის წინაალმდეგ—ზეპირად არ უნდა კითხულობდეთ, არამედ წიგნში გარკვეულად და თანაც გალობით.

საეკლესიო კითხვა გალობითი ხმით იმიტომ უნდა სწარმოებდეს, რომ ამას თხოულობს თვით საეკლესიო ღვთის მსახურების წესი, რომელსაც ბევრი საგალობლები აქვს. აგრეთვე საჭიროა, კითხვა ერთ დონეზე მიდიოდეს, თუ ხმამაღლა დაიწყო მწიგნობარმა კითხვა ერთ ხმაზედ უნდა გააგრძელოს, საჭიროა მლოცველთა რიცხვსაც მიექცეს ყურადღება, რადგან ორი კაცისათვის და ათასისათვის ერთნაირად არ შეიძლება წაკითხვა. დიდ მარხვაში და გარდაცვალებულთა დასაფლავებაზედ უნდა სხვანაირად იკითხებოდეს და დიდ დღესასწაულებზედ კიდევ სხვანაირად.

რომ საეკლესიო კითხვა ზომიერად მიდიოდეს და ერთნაირად ესმოდეთ წაკითხული, როგორც ახალგაზდათ ისე მოხუცთ, ამისათვის მწიგნობარი ამაღლებულ ადგილას უნდა იდგეს. რომლებიც კი ცოტას მოიყრუებენ, ისინი ახლოს უნდა დადგნენ მწიგნობართან. ეკლესიაში სიჩუმეს არაფერი არ უნდა არღვევდეს, რაიცა ძლიერ საჭიროა კითხვისათვის, განსაკუთრებით კი, როდესაც იგი საეკლესიოა.

მეორე ხარისხი კარგი კითხვისა არის აზრიანობით კითხვა, ესე იგი წაკითხულის გაგება. ასეთ კითხვაში განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს დროიკურ ხმის აწევას გრძნობიერ ადგილებში. აზრიან კითხვის დროს ყოველ შესამჩნევ ადგილს განსაკუთრებული კილო ეძლევა. ღრმა მწუხარება, მხიარულება, ყველა ეს მკითხველის ხმაში უნდა ნახულობდეს შესაფერ გამოხატულებას. გარდა აზროვნული კითხვისა, საჭიროა მკაფიოდ გამოთქმა.

აზრიანი კითხვა იმდენად ხელმისაწვდენია, რომ დაბალ სკოლების უფროსს განყოფილებეპშიდაც კი ასწავლიან მას, მით უმეტეს საშუალო სკოლაში, სადაც სწავლაც შეუძლებელია, თუ ამნაირი კითხვა არ იცი.

ეკკლესია არის კეთილ-მორწმუნეობის სკოლა. ამიტომ აზრიანი კითხვის მოთხოვნილება მწიგნობართაგან არის არსებითი: პავლე მოციქული ამბობდა, რომ უმჯობესია 6 სიტყვა სთქვა გაგებით, ვიდრე 1000 გაუგებრათ. თუ კი მკითხველი ვერ იგებს წაკითხულს, მაშინ იმისთვის ძნელია გასაგებად გამოთქმა. აქედგან ცხადია, რომ აზრიანი კითხვისათვის მწიგნობარს ჰირდება დიდიხნის მომზადება, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად.

უწმ. სინ. ქონებრივი მართველობისაგან.

უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრის მეორე მუხლის ძალით, ამა წლის 3 ივნისიდგან, დადგენილია: «დადგინდეს ორ-პროცენტიანი გამორიცხვა სამღვდელო და საეკკლესიო მსახურთა პენსიიდგან, ხაზინის სასარგებლოდ. იმ კრებულთაგან, რომლებიც სახელმწიფო ფულებს არ ღებულობენ, 6 მ. წელიწადში მღვდელს გადახდეს, 3 მ. მთავარ დიაკვნებს და 2 მ. მედავითნეთ». ამისათვის უწ. სინოდის ობერ-პროკურორის, ფინანსთა მინისტრის და სახელმწიფო კონტროლერისაგან, შემუშავებულია შემდეგი წეს-დებები, რომლებიც უწ. სინოდმა მოიწონა და რომელნიც უჩვენებენ წეს-რიგს ამ ფულის შეკრებისას.

I—წვრილმანი ხარჯების ასაცილებლად, 3 ივნისის დადგენილების ძალით ფულის მოკრებისა, დღიდან ამ კანონის გამოქვეყნების შემდეგ, ის შედის ძალაში მომდინარე წლის 1 ივლისიდან.

II—სასულიერო კონსისტორიებმა ამ ქამადვე უნდა წარუდგინონ საკონტროლო პალატებს იმ კრებულთა სია, რომელნიც ხაზინიდგან არ იღებენ შემწეობას, და რომლებმაც აღნიშნული ფული უნდა გადიხადონ, და ამის შემდეგ ყოველ ნახევარ წელიწადში უნდა აცნობონ ხოლმე საკონტროლო პალატებს, თუ რა ცვლილება მოხდა ამ ნახევარი წლის განმავლობაში, კრებულთა მდგომარეობაში, რომელნიც სახელმწიფო შემწეობას არ ღებულობენ: ახალ კრებულთა დაარსებაზედ, რომლებმაც აღნიშნული გადასახადი უნდა გადიხადონ, ზოგიერთ კრებულთათვის სახელმწიფო დახმარების აღმოსაჩენად.

III—აღნიშნული გადასახადი უნდა შეტანილ იქნეს ხაზინაში ორჯელ წელიწადში, ნახევარ-ნახევარ წლობით, პირველი ნახევარი კრებულთ შეაქვთ არა უგვიანეს თებერვლისა, მეორე კი—არა უგვიანეს აგვისტოსი, ადგილობრივ ბლაღოჩინებთან, რომელნიც დაუყონებლივ აგზავნიან ამ ფულს სასულიერო კონსისტორიებში, ამ უკანასკნელთ კი ეს ფული შეაქვთ საგუბერნიო ხაზინებში, იმ კრებულთა სიასთან ერთად, რომლებთაგანაც ეს ფული შემოვიდა, არა უგვიანეს ერთი თვისა, მიღების შემდეგ.

IV—ზედმეტი გადასახადის დაბრუნება მოხდება საერთო დადგენილების ძალით, სახაზინო პალატის განკარგულებით.

აღნიშნული წესდებები სახაზინო დეპარტამენტის ცირკულიარით, 7 ოქტომბრიდგან ნაუწყები აქვთ სახაზინო პალატებს, სახელმძღვანელოთ და ხაზ. ნებში განსაკარგულებლად. ზემორე აღნიშნულს თანახმად უწ. სინოდის დადგენილებისა 21 აგვისტოდგან—2 სექტემბრიდგან, ქონებრივი მართველობა აცხადებს სამღვდელოებისადმი საგულისხმოდ და აღსასრულებლად.

მეტრიკული წიგნის წარმოების შესახებ.

მეტრიკული მოწმობები და ამოწერილობანი დაბადებაზედ და მონათვლაზედ, გარეგანი შეხედულებით, წარმოადგენენ, სიტყვა-სიტყვით ამოწერილ სტატიას მეტრიკის წიგნიდან ამა თუ იმ ღვდელმოქმედებაზედ თავისი შინაარსით ისინი შეადგენენ საჭირო საბუთს. ასეთი ამოწერილობა მოწმობს ორ დიდ შემთხვევას ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, მის ორგვარ დაბადებას: ბუნებრივად სულ პირველში, სულიერად კი მონათვლის შემდეგ. აქედგან აშკარაა, თუ რა საჭიროა ჩვენთვის ისეთი საბუთი, როგორც მეტრიკული მოწმობა ცხოვრების სხვადასხვა დამოკიდებულებაში. გახდება თუ არა ბავშვი სკოლაში შესაყვანი, საჭიროა ამ საბუთის წარდგენა; გაათავებს სკოლას, გამოვა ცხოვრებაში, მაშინაც უამისოდ ვერ შევა სამსახურში. არა ნაკლებია სხვა შემთხვევებიც, როდესაც მეტრიკული მოწმობა საჭიროა, მაგ. ქორწინების დროს, მემკვიდრეობის დამტკიცების დროს. რადგან ასეთი დიდი უცილებრივი მნიშვნელობა აქვს მეტრიკულ მოწმობას, ამიტომ სასურველია, მისი შედგენა განსაკუთრებული ყურადღებით სწარმოებდეს, რადგან ცოტა რამ შეცდომა ამ შემთხვევაში, იწვევს ბევრ წვალებას იმ პირთათვის, რომელთაც ის ჭირდებათ. მეორე მხრივ, მეტრიკული წიგნის შეცდომითი წარმოება, ზედმეტ შრომას აყენებს სასულიერო სამსჯავროს, რომელმაც უნდა გაასწოროს მეტრიკული შეცდომა, მაგ. თუ შეცდომით არის ნაწარმოები ან რაიმე ეჭვს ბადებს.

ასეთი შეცდომების ასაცილებლად და რიგიანად გასაწესრიგებლად, უწმიდესი სინოდი არა ერთხელ უგზავნიდა ბრძანებებს (გაგ. უწ. სინოდის უქაზი 23 დეკემბერი 1889 წ. № 15) საეპარქიო მართველობას, რათა მათ ყურადღება მიაქციონ მათდამი რწმუნებული სამღვდელოების მეტრიკული წიგნების წარმოებას, დამნაშავენი კი დასაჯონ, თანახმად სასულიერო კონსისტორიის წესდებულებისა. (სტ. 192 და 193); ამასთან ერთად უწ. სინოდმა შეიმუშავა სახელმძღვანელო ცნობები, საეკკლესიო კრებულთათვის, მეტრიკული წიგნის საწარმოებლად. მიუხედავად ამისა, დღემდის ბევრი მოხსენება მიდის უწ. სინოდს მეტრიკულ მოწმობათა უწესოდ წარმოების შესახებ, რაიცა გვიჩვენებს, თუ რა რიგ სასტიკ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ამ საქმეს საეპარქიო მმართველობანი. ამასთანავე საჭიროა, სამღვდელოების აზროვნებაში გაცოცხლდეს ის კანონები და განკარგულებანი უწ. სინოდისა, რომელნიც ამ საგანს შეეხებიან. აი ეს კანონები და სინოდალური განკარგულებანი. ასე მაგ. კანონი ამბობს, რომ შეუცდომელი წარმოება საკრებულო წიგნებისა, განუყოფელი ვალდებულებაა, როგორც მღვდლის, ისე დიაკვნის და მედავითნის. (ტ. IX სტ. 870). მეტრიკულ წიგნებში უნდა ჩაიწეროს ესა თუ ის შემთხვევა, მაშინვე მღვდელ-მოქმედების შემდეგ. ან მღვდლისაგან ან დიაკვნისა და მედავითნისაგან, რაც შეიძლება დანამდვილებით; ყოველივე გასწორებული ნაწერი აკრძალულია მეტრიკულ წიგნებში, თუ რაიმე შეცდომაა ჩამწერის მხრივ, მაშინ უნდა ფრჩხილებში ჩაისვას ეს ალაგი და ისევ ხელ-ახლა დაიწეროს, რაც საჭირო იყო. მღვდელ-მოქმედების შესრულებისა და მეტრიკულ წიგნში ჩაწერის შემდეგ, შეცდომის ასაცილებლად უნდა მოწვეულ იქმნენ დამსწრენი ჩაწერილის სინამდვილის დასამოწმებლად. (დებ. სას. კონ. სტ. 100). ასეთია გარეგანი წესი მეტრიკული წიგნის წარმოებისა. თითონ ჩაწერის დროს კი საჭიროა ხელმძღვანელობა უწ. სინოდის დადგენილებით, 14 ოქტომბრიდან—8 ნოემბ. 1887; ამ დადგენილებაში უწ. სინოდი ხსნის, რომ საეკკლესიო კრებული, როდესაც ბავშვებს, რომელნიც დაბადებულნი არიან კანონიერი ქორწინებაში მყოფ დედათაგან, სწერს უკანონო

შობილად, ბავშვის დედის ან ნათესავთა განცხადების ძალით, იქცევა უკანონოდ, რადგან უფლება იმის გამოსაკვლევად კანონიერია ბავშვი თუ უკანონო, თუ კი ამისთანა ქორწინება არსებობს, დედის ქმრის საქმეა და თითონ ამ კითხვის გადაჭრა სასამართლო დაწესებულების საქმეა, ასე რომ კრებულის ვალდებულებას არ შეეხება. ამ ზემოდ მოყვანილ დადგენილებიდან ცხადია, რომ საეკკლესიო კრებული ვალდებულია მის განკარგულებაში მქონე ცნობების მიხედვით, ჩასწეროს მეტრიკაში კანონის მიერ დადგენილი ფორმის თანახმად, იმის გამოძევა კი უკანონოდ შობილია ბავშვი თუ კანონიერად, მისი საქმე არ არის. ეს ფორმა კი ნათლად უჩვენებს, თუ როგორ უნდა ჩაიწეროს დაბადება და მონათვლა. სახელდობრ: ა) ბავშვები დაბადებულნი იმ დედათაგან, რომელნიც შეუღლებულნი არიან, თუ გინდ უკანონოდ, სანამ სასულიერო მთავრობა არ დაამტკიცებს ამას, კიდეც რომ დაამტკიცოს, თუ კი ამ დამტკიცების შემდეგ 306 დღეზედ ნაკლები გავიდა, იწერებიან დედის და ქმრის სახელზედ, (ტ. X. ნ. I სტ. 119 და უმაღ. ბრძ. 3 ივნისს 1902 წ. სტ. 131); ბ) ბავშვები დაბადებულნი ქვრივისაგან ან ქმართან გაყრილისაგან, ან ისეთი ქალისაგან, რომლის ქორწინებაც უკანონოდ არის ცნობილი—იწერებიან დედის და მკვდარი ქმრის ან გაყრილი ქმრის სახელზედ, თუ დღიდან სიკვდილისა ან გაყრისა, ან უკანონოდ ცნობისა, ბავშვის დაბადებამდე გავიდა 306 დღეზედ ნაკლები (ტ. 7 წ. I სტ. 119); ასეთი ჩაწერა ფორმალურის მხრივ სწორი იქნება,—მაგრამ, თუ სახეში მივიღებთ, რომ ჩამწერის განკარგულებაში ყოველთვის არ შეიძლება იყოს დანამდვილებული ცნობები,—ქმრის სიკვდილის ან გაყრის შესახებ, მაშინ არა უშავს მონათლულის დედის სახელზედ ჩაწერას; ამასთანავე უნდა აღინიშნოს ვისი ქვრივია, ვის გაეყარა და არ უნდა იხმარებოდეს ჩაწერის დროს სიტყვა „უკანონოდ შობილი“; გ) ბავშვები იმ ქალისა, რომელმაც ქმრის სიკვდილის ან გაყრის შემდეგ დაბადა, მხოლოდ მეორე (ე. ი. ახალი) ქორწინებაში ყოფნის დროს,—იწერებიან დედისა და ნამდვილი ქმრის სახელზედ, რომელსაც, თუ კი მოისურვებს 1348 სტ. ტ. XVI ნ. I სამოქალაქო სასამ. დებ. ძალით შეუძლია განასაჩივროს ასეთი ჩაწერის სინამდვილე. ზოგიერთ შემთხვევებში (მაგ. ქმრის დაკარგვაზედ ან ციმბირში გაგზავნაზედ), თუ კი ეს დამტკიცებულია და ამ დროიდან გავიდა 306 დღეზედ ნაკლები, შეიძლება, როგორც 881 სტ. ტ. IX აღნიშნულ მეტრიკულ ჩაწერის ნიმუშიდან ჩანს, ჩაწერა იმ ბავშვებისა, რომლებიც ქორწინებაში მყოფ დედებიდგან დაიბადენ, მხოლოდ დედების სახელზედ, მაგრამ ამასთანავე კრებული არ უნდა უმატებდეს სიტყვას „უკანონოდ შობილი“, რაიცა ხშირად ხდება, რადგან ასეთი მიმატება ამტკიცებს, რომ სამღვდელოება მისთვის არა სავალდებულო საგანს შეეხო, როგორც ზემოდ იყო აღნიშნული. ერთად ერთი შემთხვევა, როდესაც ამ სიტყვის ჩაწერა შეიძლება,—ეს მაშინ, როდესაც ქალი, რომელმაც შობა, არც წინად ყოფილა ჯვარ-დაწერილი და არც ეხლაა, მაგრამ ასეთი ჩაწერა ამ ჟამად უმაღლესი ბრძანებით 3 ივნისს 1902 წ. უკანონოდ შობილი ბავშვებისა აკრძალულია. თანახმად უმაღლესი ბრძანებისა, რომელიც სპობს სიტყვას „უკანონოდ შობილი“ ხმარებიდან, ყველა უკანონოდ შობილი ბავშვები—ასეთებად კი ზემო აღნიშნული უმაღლესი ბრძანება სთვლის ბავშვებს: 1) რომლებიც უქმროსაგან არიან დაბადებულნი 2) მრუშების შემდეგ *) და 3) დაბადებულნი ქმრის სიკვდილის ან გაყრის შემდეგ, ან ქორწინების უკანონოდ ცნობის შემდეგ, როდესაც ყველა ამის შემდეგ 306 დღეზედ მეტია გასული,—ყველა ესენი იწერებიან მონათვლის შემდეგ მეტრიკულ წიგნში დედების სახელზედ, ამასთანავე არ უნდა აღინიშნოს უკანონოდ შობილად, და ბავშვის სახელთან ერთად იწერებოდეს მამის სახელი, თანახმად სტ. 132 იმავე უმაღლესი ბრძანებისა, თუ კი სახელი მითვისებული იქნება მეტრიკაში ჩაწერის დროს.

რაიცა შეეხება, მოგდებულ ბავშვთა, რომელთა დედ-მამაც არ არის გამოჩენილი, ჩაწერას ასეთ შემთხვევაში, რადგან არ შეიძლება კაცმა ისარგებლოს 861 სტ. IX ტ. დამატებით, მხოლოდ მონათლულის სახელი უნდა აღინიშნოს, დრო და ადგილი დაბადებისა, თუ კი რამე ოფიციალური ცნობები იქნება ამის შესახებ (მაგ. საზებიაო დაწესებულების მოწმობა, ან პოლიციის ცნობები) ან მოწმების ჩვენება; ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მშობლები არ იციან.

*) აქ კანონს, რასაკვირველია, სახეში აქვს ისეთი მრუშება, რომელიც სამოსამართლო წესით არის დამტკიცებული.

პასუხად კითხვისა...

უოველი პირი სიმართლის მცველი
თვით საქმეთაგან ამაღლებულა,
მის წინააღმდეგ—სიმრუდით მსვლელი
ამ სოფლიოდაც დამდაბლებულა.

—

მაგალითია წინ დასადები
ვინც უგვირდება სოფლისა ბრუნვას,
ვაჲ მათ მრუდთა—იმ ცხოვართ გუნდთა,
ვინც შეუპურია ამათ ზრუნვას!..

—

უწყოდე ძმაო, რომელ სიმართლეს
აქვს ნიადაგი ზეაღმამფრენი,
მის წმიდა გზაზედ არვის შეხვდება
საჭირ-ბოროტო რამე საფრხენი.

—

მხოლოდღა სული დამშვიდებული
და სინიდისი მაღალი, წრფელი,—
ვეღარ იძლიოს მატთურისაგან,
ვერც შეურყიოს მას საშეოფელი.

—

მხოლოდ ამ აზრით ნათელ-ფენილს
ძალ-უძს ცხოვრების მშვიდად ატანა,
მხოლოდღა ამა სპეტაკს საგანეს
ძალ-უძს განდევნოს „ბილწი სატანა“.

თ-დი როსტომ-გუძა ჩიქოვანი.

ნეტარ არს კაცი.

ნეტარ არს კაცი, რომლის საქმეში
სუფევს სიმართლე დაუძლეველი,
ის არის სახე მაღალ-ხატების,
ის არის უოვლად „ნამდვილი ქველი!“

—

ნეტარ არს კაცი, რომლის გონებას
ზენა სიწრფელე ნათლად დგომია,
და იმ გონების გამონაბრწყენი
სხვებს სხივ-მომფენი გზად გახდომია.

—

ნეტარ არს კაცი, ვინცა მოძმეთა
და მის სიკეთის ბურჯად გამხდარა,
და შეურყევლად ამ სიმაგრეზედ
არ შედრეკილა, მტკიცედ დამდგარა.

—

ნეტარ არს კაცი, რომლისა აზრი
მაღალის ზნითა გამსჭვალულია,
და ამა გრძნობით სამშობლო ქვეყნის
საკეთილ-დღეოდ ის აღძრულია!

—

ნეტარ არს კაცი, ვის მადლიან ხელს
კერპის „ბომონი“ დაუნგრევია,
და მის ნანგრევზედ ერის სამსხვერპლოდ
თვის წმიდა სისხლი დაუნთხევია.

—

ნეტარ არს იგი, ვისიც არსებით
სხვებიც უზრუნველ-არსებულია,
და წმიდა მსხვერპლის „ქველისა“ ხელით
უღონოს ხელი აღვსებულია.

—

ნეტარ არს იგი, მის „ქველის“ საქმეს
ვინც მოუპოვა უკვდავ სიმები,
ვისსა ღვაწლ-ნადებს შრომაზედ ბრწყენდა
ჭეშმარიტების ნათელ სხივები!..

თ-დი როსტომ-გუძა ჩიქოვანი.

ახლად გამოსულს

სამწერლო ასპარეზზედ.

თუ სამშობლოს სიყვარულით
გამსჭვალული იღებ კალამს
და გულით გსურს მოპასუხე
ექმნე ქართველთ ჭირს და ვარამს,
მეც თანგიგრძნობ, და მის ნიშნად
შორით გიძღვნი, ძმაო, სალამს...
გახსოვდეს, რომ მომავალი
შენსა ნაღვაწს არ დამალავს.

—

თუ სხვაფერი მიზანი გაქვს—
კერპადა გსურს გრაცხდეს ერი,
გარს გეხვიოს და გიქმიოს
გუნდრუკი და მური ბევრი,—
გირჩევ ეხლავ დაანებო
კალამს ხელი ბიწიერი,

სამოღვაწოდ აირჩიო
სხვა რამ საქმე შესაფერი...

—

ცბიერს მიზანს ხალხი იცნობს,
გამოჩნდება თვით გზა მისი,
მომავალი მიგიხვდება,
რომ არა ხარ ცნობის ღირსი...
და თუ ერი დღეს გმსახურებს,
ცბიერს შრომას გიასესებს,
დრო მოვა—და უფრო კარგად
შენს მიზანსაც დააფასებს...

—

მსგავსი მიზნით გამსჭვალული
ნუღარ არყევ ჩანგით ჰაერს,
წყლულზე წყლულსა ნუ უმატებ
უმისოდაც ჩაგრულსა ერს...
მიზანს იცვლი—მაშინა კი
გრძნობით ჩანგი ააჟღერე,
უკეთესის მომავლისთვის
ქართველთ გული ააძგერე...

ეგიმარიონი.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

Кавказское сельское хозяйство (1902, № 456).

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების გამოცემის № 456-ში დაბეჭდილია ყოვლის მხრივ საყურადღებო წერილები:

ა) О примѣненіи лѣснаго закона ბრილინსკისა.

ბ) О необходимости устройства на Кавказѣ биржи и элеваторовъ сельско-хозяйственныхъ продуктовъ ა. ევანგულოვისა.

გ) Кооперація, какъ средство удовлетворенія назрѣвающихъ нуждъ по винодѣлію и виноградарству на Кавказѣ ვ. რცხილაძისა.

დ) Записка о нуждахъ сельско-хозяйственной промышленности თავ. ლ. ჯანდიერისა.

ყველა აღნიშნული წერილები დაწერილია დიდის დაკვირვებით და იმ აზრით, რომ დღევანდელს დაბეჩავებულს, დანაცრებულს სოფელს მალომო დასდონ, იგი წაღმართს გზას გამოაბრუნონ.

ჩვენს მკითხველებს ვურჩევთ წაუკითხავად ნუ დასტოვებენ ამ წერილებს, მით უმეტეს, რომ იგინი შეეხებიან ჩვენის ერის ჭირ-ვარამს.

Н. Д. Іерархія всероссійской церкви. Москва. 1892 г. საქართველოს (ივერიის) საკათალიკოსო (გვ. 185—198).

1783 წელს, 24 ივნისს, საქართველოს მეფე ერეკლე რუსეთის უმაღლესს მფარველობაში შევიდა. რუსთა მმართველობა მოეწყო საქართველოში 1801 წელს. მართლმადიდებელი იერარქია არსებობს საქართველოში 318 წლიდგან, როდესაც ანტიოქიის პატრიარქმა ევსტათემ მცხეთაში დაადგინა მამათმთავრობა, რომელიც მეორე მსოფლიო კრებამდე (381 წ.) ექვემდებარებოდა კოსტანტინეპოლის საპატრიარქოს, გარნა ამ წელს (381 წ.), განსაკუთრებულ დადგენილებისამებრ, დაექვემდებარა ანტიოქიის პატრიარქს. 458 წლის ახლო ხანს კოსტანტინეპოლის პატრიარქმა ანატოლიმ, იმპერატორ ლეონ დიდის თანხმობით და საქართველოს მეფის ვახტანგის თხოვნით, მცხეთას დაადგინა დამოუკიდებელი არხიეპისკოპოსი, ნეტარი პეტრე, კათალიკოზად სახელდებით, რის თანხმობა გამოაცხადა აგრეთვე ანტიოქიის პატრიარქმა პალლადიმ 488 წლის ახლო ხანს.

მცხეთ-ივერიის კათალიკოზებს 542 წლამდე ამტკიცებდნენ ანტიოქიის პატრიარქნი, გარნა ამ წლიდგან საქართველოს ეკკლესია იმპერატორს იუსტინიანეს სიგელით, კოსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქის ლეონის და აღმოსავლეთის ყველა მართლ-მადიდებელ პატრიარქების თანხმობით გამოცხადებულ იქმნა ავტოკეფალად, რაიც დაამტკიცა კოსტანტინეპოლის მე-VI მსოფლიო კრებამ, რომელმაც დაადგინა: „მცხეთის ეკკლესია ივერიაში ცნობილ იქმნას ღირსებით და პატივით თანასწორად წმიდათა სამოციქულოთა, კათოლიკე და საპატრიარქო საყდართა“, ივერთა კათალიკოსს მიენიჭოს „თანასწორობა პატრიარქთა“ და „უფროსობა არხიეპისკოპოსებისა, მიტროპოლიტებისა და ეპისკოპოსებისა მთელს საქართველოში—კახეთს, შაქს, შირვანს და მომიჯნავე ქვეყნებში კავკასიონს გადაღმა მდინარე სტანიამდე და ჩერქეზამდე, მთელს ოსეთს, ზემო ქართლს, სამცხეს“. მირონის შემზადებისა და კურთხევის ნებაც კრებამ მიანიჭა კათალიკოზს. 545 წლამდე კათალიკოსებად იყვნენ ბერძენნი და ამ წლიდგან კი—ქართველნი, რომელთაგან პირველი იყო საბა.

მე-V, VI და VII მსოფლიო კრებაზე დაესწრნენ საქართველოს წარმომადგენელნიც.

1250 წელს მცხეთ-ივერიის საარქიეპისკოპოსოს მიენიჭა ხარისხი პატრიარქ-კათალიკოზობისა. მისნი უპირველესნი მაკურთხებელნი იწოდებოდნენ არხიეპისკოპოსად მცხეთისა, კათალიკოს-პატრიარქად ივერიისა, ქართლისა და კახეთისა.

1783 წ. ივერიის კათალიკოსებს უმაღლესად ეწყალობათ უუწმიდეს სინოდის წევრობა.

პატრიარქ-კათალიკოსები: ანტონი I, გარდ. 9 თებერვალს 1788; დასაფლავებულია მცხეთის საპატ. ტაძარში. ანტონი II; აკურთხეს ცარსკოე სელოს ნინო-წმინდის მიტროპოლიტად 30 ივნ. 1786 წ., კათალიკოზად დაინიშნა 1789 წ., რუსეთს გაიწვიეს 10 ივლისს, 1811 წელს; 1812 წლიდგან სცხოვრობდა ნიჟნი-ნოვგოროდს კათალიკოზის სახელწოდებით. გარდ. 21 დეკ. 1827 წელს.

მცხეთ-ივერიის საპატრიარქოს ეპარქიები:

მცხეთის საარქიეპისკოპოსო მცხეთაში; 318 წლიდგან 1811 წლამდე განაგებდნენ ივერიას კათალიკოსნი, შემდეგ ექსარხოსნი უუწმიდეს სინოდისა. 1818 წლიდგან გადარქმეულ იქმნა ქართლისად.

სამიტროპოლიტოები:

სამთავროსი	342 წლიდგან
ალავერდისა	557 „
ბოდბისა	335 „
ტფილისისა	მე-V საუკუნიდგან
ნინო-წმინდისა	მე-V „

საარქიეპისკოპოსოები:

რუს-თავისა	მე-V საუკუნიდგან
წილკნისა	345 წლიდგან
ურბნისისა	გაუქმდა 1811 წ.
რუისისა	მე-V საუკ.
სამთავისისა	გაუქმდა 1811 წ.
ნიქოზისა	მე-V საუკ.
ნეკრესისა	მე-V „

ახტალის სამიტროპოლიტო გაუქმდა 1824 წ.
აკასისა(?) გაუქმდა 1829 წ.

ამას გარდა ძველად კიდევ იყო ეპარქიები

აგარაკისა	მე-VI საუკ.
ალვანისა; მისი ეპისკოპოსი მოხსენებულია კოსტანტინეპოლის მე-V მსოფლიო კრებაზე 555 წ.	
ანისისა	
აწყურისა მე-VI ს.	
ბანისა მე-X საუკ.	
ბოლნისისა მე-V ს.	
ბოჭორმისა	
ვალაშკერტისა	
ვარძიისა(?)	
გიშისა	
კუმურდოსი მე-VI ს.	
დადაშნისა	
ჭერემისა მე-V საუკ.	
ერუშნისა	
კარისა	
კაწარისა	
ახიზისა	
მანგლისისა მე-V ს.	
აწყურისა	
რუსთავისა VI საუკ.	
ხარჭაშნისა	
ხორნაბუჯისა V საუკ.	
წალკისა	
წყაროსთავისა X-XI ს.	
ცხუმისა	
ჭყონდიდისა მე-X ს.	
ბიჭვინტისა 356 წ.	
ქუთ. 1027—1092 წ.	
გელათისა 1525 წ.	
ცაგერისა	
ვაკისა (ხონს) მე-V ს.	
ნიკორწმინდისა მე-II ს.	
დრანდისა	
მოქვისა მე-X.	
შემოქმედისა მე-X—XI ს.	
ბედიისა მე-X საუკ.	
ცაიშისა გაუქმდა 1823 წ.	
ჯუმათისა „ 1833 წ.	
ნინოწმინდისა	
ანჩისა მე X საუკ.	
იშხნისა მე-X საუკ.	
ტბეთისა მე-X საუკ.	

თბილელი, არსენი ნაბაიძე გარ. 30 ნოემბ. 1813 წ.

მროველი, იონა გარ. 5 მარტს 1823 წ. მოსკოვს.

ნინო-წმინდელი, დავით წერეთელი, 1829 წლიდგან ჭყონდიდლად, გარდ. 18 იანვ. 1853 წ.

რუსთველი, სტეფანე ჯორჯაძე 1818 წლ. გორის ეპისკოპოსი.

ახტალელი, იოაკიმე გარდ. 1824 წ.

წილკნელი, გერვასი მაჭავარიანი 1814 წ. გორისა.

ურბნელი, იუსტინ გარდ. 1811 წ.

ნიქოზელი, ათანასე გარდ. 1810 წ.

გორისა, დოსითეოზ ფიცხელაური გარდ. 19 ნოემბერს 1830 წ.

ბოდბელი, იოანე მაყაშვილი გარ. 24 სეკ. 1837 წ.

იმერ-აფხაზთა, კათალიკოსი მაქსიმე ნიჟარაძე გარდ. 30 მაისს, 1790 წ.

გენათელი, ეფთვიმე შერვაშიძე, გარდ. 21 აპრ., 1821 წ.

ქუთათელი, დოსითეოზ წერეთელი, გარდ. 8 მარტს, 1820 წ.

ცაგერელი, იოანე დადიანი, გარ. 9 დეკ. 1822 წ.

ვაკელი, ანტონი დადიანი, გარდ. 16 ივლისს, 1822 წ.

ნიკორწმინდელი, სოფრონ წულუკიძე, გარდ. 8 ნოემბერს, 1841 წ.

ჭყონდიდელი, ბესარიონ დადიანი, გარ. 1828 წ.

ცაიშელი, გრიგოლ ჩიქოვანი, გარდ. 15 ნოემბ., 1823 წ.

ჯუმათელი, ნიკოლოოზ შერვაშიძე, გარ. 1827 წ.

ასეთი ძვირფასი ცნობებია აღნიშნულს წიგნში.

„ივერია“.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რუსეთში უმაღლესს სასწავლებლებზე საზოგადოდ ცოტა იხარჯება. ყველაზედ მეტი ფული უნდება მოსკოვის უნივერსიტეტს — 1,300,000 მანეთი; პეტერბურგის უნივერსიტეტს წელიწადში უნდება 800,000 მანეთი, სხვა უნივერსიტეტებს—თითოს 500,000 მან., ხოლო ვარშავისა, ტომსკისა და იურიევის—თითოს 400,000 მან. ამასთან რუსეთში სულ ცხრა უნივერსიტეტია. ასე არ არის საზღვარგარედ. მთლად ევროპაში რუსეთს გარდა 120 უნივერსიტეტია, ხოლო შეერთებულ შტატებში—41. ისეთი პაწაწა სახელმწიფოც კი, როგორც რუმინიაა, ორს უნივერსიტეტზე ჰხსრჯავს $1^1/_2$ მილიონ მანეთს. ბერლინის უნივერსიტეტს უნდება წელიწადში $1^1/_2$ მილიონი მანეთი, ლუნდისას (შვეცია) —1,800,000 მანეთი, პარიზისას—2,200,000 მან., კემბრიჯისას (ამერიკის შტატ. მასაჩუზეტშია)— 9,000,000 მან. დიდ ფულსა ჰხარჯავენ უნივერსიტეტებსა და უმაღლესს სასწავლებლებზე განსაკუთრებით ამერიკაში. პეტერბურგის სატეხნოლოგო ინსტიტუტს 1900 წელს მოახმარეს 274,000 მან., ხოლო ბოსტონის (ამერიკაში) ასეთსავე ინსტიტუტს —2,800,000 მანეთი. ქონება საზღვარ-გარეთელ უნივერსიტეტებს მეტად დიდი აქვთ. ზემოდ ხსენებულ კემბრიჯის უნივერსიტეტს, მაგალითად, 25 მილიონ მანეთის ქონება აქვს. სტუდენტთა რიცხვიც საზღვარ-გარედ დიდია. 1900—1901 სამოსწავლო წელს ითვლებოდა:

პარიზის უნივერსიტეტში	.	. 12,171	სტუდ.
ბერლინის	„ .	. 12,063	„
ქაირის უმაღ. სკოლაში	.	. 9,063	„
ვენის უნივერსიტეტში	.	. 6,009	„
ბუდაპეშტის	„ .	. 5,661	„
ნეაპოლისა	„ .	. 5,165	„
მადრიდისა	„ .	. 5,118	„
გლაზგოს სატეხნიკო სკოლაში	.	4,587	„
ბერლინის	„ „	. 4,441	„

ამავე წელს ირიცხებოდა:

შეერთ. შტატების უნივერსიტ.	.	65,500	სტუდ.
გერმანიის	„	. 41,000	„
რუსეთის	„	. 16,800	„

*
* *

მაკედონიის კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი მიხაილოვსკი ამ ჟამად ევროპაში მოგზაურობს იმ აზრით, რომ მაკედონელებს ევროპიელების თანაგრძნობა მოუპოვოს. ამ წამს მიხაილოვსკი პარიზში იმყოფება. ვენაზე რომ გაუვლია, მიხაილოვსკის „ნ. ფ. პრესეს“-ს თანამშრომელთან საუბარი ქონია და მაკედონიის მდგომარეობა, აჯანყებულთა ძალა და მიზანი დაუსურათებია: „მაკედონიის მდგომარეობა საშინელია. ჩვენი სურვილი ორის სიტყვით გამოითქმის: გვინდა, რომ ქრისტიანებს ის უფლება ჰქონდეთ, რაც ოსმალებს აქვთ, ანუ სხვანაირად რომ ვსთქვათ, მხოლოდ ის გვინდა, რომ ბერლინის ხელ-შეკრულობის მე-23 მუხლი ასრულდეს. მაგრამ ხონთქარი აბდულ-ჰამიდი არას დროს არ შეასრულებს ჩვენს მოთხოვნილებას. ევროპაში ჰგონიათ, მაკედონიის მოძრაობის მიზეზი ბოლგარიააო. პეტერბურგიდან და ვენიდან არა ერთხელა სთხოვეს ბოლგარიის მთავრობას, მაკედონიის მოძრაობას ხელს ნუ უწყობო. მაგრამ ბოლგარიის მთავრობა აქ არაფერ შუაშია. მაკედონიის მოძრაობა მარტო იმ მიზეზით დაიწყო, რომ მაკედონია საზარელ მდგომარეობაშია.

ბოლგარიაში ბევრი მაკედონიელი გადასახლდა და აი სწორედ ესენი უწყობენ ხელს აჯანყებას. რაც ბოლგარიის დედა ქალაქ სოფიაში ხალხი ცხოვრობს, ნახევარი სულ მაკედონელები არიან. მდინარე დუნაის ორსავ ნაპირსაც თითქმის 250 ათასი

მაკედონელი ცხოვრობს. ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამოდენა ხალხი უმეტეს ნაწილად განათლებულნი არიან. 550 წელიწადია, რაც ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე შინაური ბრძოლა არა სწყდება, მაგრამ საქმე ჯერ არას დროს არ გამწვავებულა ისე, როგორც ეხლა. მაკედონიაში მთელი ხალხი კი არ აჯანყებულა, ისე, მაგალითად, როგორც საფრანგეთის რევოლიუციის დროს აჯანყდა. ამისთანა მოძრაობა ბოლგარიის ხალხის ხასიათს როდი შეჰფერის. მაკედონიაში დღესაც იმნაირი ამბები ხდება, როგორც ძველ სიმღერებსა და თქმულებებშია აწერილი: მაკედონიაში გაიდუკების აჯანყებაა. 20—25 კაცი პატარა რაზმს შეადგენენ, ერთს უფროსს აირჩევენ და უმოწყალო პარტიზანულ ბრძოლას იწყებენ ოსმალებთან. ზოგიერთმა სარდალმა, მაგალითად, გენერალ ცონჩევმა და პოლკოვნიკ ნიკოლოვმა მშვენიერად იციან სამხედრო საქმე. ესენი ბოლგარიის ჯარში მსახურებდნენ. ზოგიერთ სარდლებს მშვენიერი იარაღი აქვთ. ბევრ რაზმს მაგარი, მიუვალი ადგილები უჭირავს. აჯანყება იმიტომ გაძლიერდა ასე, რომ ხალხი თანაუგრძნობს აჯანყებულებს.

„ეხო დე პარი"-ს თანამშრომლისათვის მიხაილოვსკის უთქვამს: უმთავრესად საფრანგეთისა და ინგლისის შემწეობის იმედი მაქვსო. ამას გარდა, მიხაილოვსკის უთქვამს, მაკედონიის კომიტეტი 4000—5000 აჯანყებულ კაცს ინახავს თავის ხარჯითაო.

*
* *

მესხეთის და ჯავახეთის გათათრება. ქართველ კათოლიკეთა ერთმა მოძღვარმა თავის ქადაგებაში წარმოსთქვა შემდეგი: ქართველთ გათათრების და ტანჯვა-ვაების ისტორია რომ დაიწეროს, 24-ს ტომზედ ნაკლები არ გამოვაო. ჭეშმარიტად ეს ასე იქნებოდა, რომ თავის დროს ვისმეს ხელი მიეყო, ცნობები ევგროვებინა და თან ეწერა. ქართველთ გათათრება ადვილად არ მომხდარა, მას დიდი, ვრცელი ისტორია აქვს, სამწუხაროდ ამ გათათრების შესახებ კი ჩვენ ბევრი არაფერი ცნობები გვაქვს. როგორც კვლავაც გვითქვამს, ამ საგნის შესახებ არც «ქართლის ცხოვრებაში»-ში და არც სხვა ისტორიულს წიგნებში მოიპოვება რამე. ჩვენი ძველი მწერლობა ამაზედ მდუმარებს.

მესხეთი და ჯავახეთი ოსმალთ ადრიდგანვე გაათათრეს. ლაზისტანი, არტაანი, არდანუჯი, ლივანა, აჭარა, თორთომი, ოლთისი და სხვა უშორესი ადგილები გათათრებული არ იყო, რომ მესხეთის და ჯავახეთის ქართველებს გათათრება დაუწყეს 1635 წ.

1635 წ., ახალციხე ოსმალეთის მთავარ საფაშალიკო ქალაქად დაინიშნა და ფაშად დადგენილ იქმნა ბექა ათაბაგი, რომელიც პირველად გათათრდა და სახელად საფარა ეწოდა.

რადგანაც ახალციხე ოსმალეთის ასეთ ცენტრად დაინიშნა, ამიტომ ოსმალეთის მთავრობაც იმას სცდილობდა, რომ ამ ადგილის გარშემო მცხოვრებნიც მუსულმანის სარწმუნოების მიმდევარნი ყოფილიყვნენ. ამიტომ ქართველებს ძალით დაუწყეს გათათრება და ამ გათათრებისთვის მახვილსაც ხმარობდნენ. არც მესხ-ჯავახნი აკლებდნენ მათ მტრობას. მესხთაგან მათ საქმე ძლიერ უჭირდებოდათ, ქართველთ გათათრება ერთობ ძნელდებოდა. მესხნი და ჯავახნი ჩვეულებრივის გმირობით ებრძოდნენ ოსმალთა სასულიერო წოდებას და არსად და არას დროს ადვილად არ ემორჩილებოდნენ. დროს განმავლობის და ჟამთა ვითარების მეოხებით, მესხნი და ჯავახნიც მოიღალნენ ბრძოლაში და ამიტომ, ზოგიერთს ადგილებში იწყეს შავის ბედის მორჩილება, სჯულის გამოცვლა. სჯულის გამოცვლას დიდად ერიდებოდა მესხელ და ჯავახელ ქართველი დედაკაცობა. ამის საფუძვლად კმარა გავიხსენოთ თუნდ როსტომ ფაშა ჯაყელის ცოლის მაგალითი, რომელმაც დიდის ტანჯვით დასთმო ქრისტიანობა და ისლამს დაუკავშირდა. ამით დააწყნარა მან თავის ქმრის როსტომ ფაშის გული. სამცხეში ქრისტიან ქართველთ საქმე ისე გამწვავდა, რომ 1713 წ. ახალციხეში საქვეყნოდ იქმნა დახრჩობილი ელისე არქიმანდრიტი. ოსმალეთის მთავრობას საკმარისად მობეზრდა ქართველ ქრისტიანებთან ბრძოლა, ისლამის ვრცელება და ამიტომ მესხეთსა და ჯავახეთში შემოიღეს ისეთი წესები, რაც ქართველთ გათათრებას ხელს უწყობდა.

აი ეს წესებიც:

1) მოლის, თუ ხოჯისაგან მინარეთიდგან დაძახილ ლოცვის დროს, რომ ქრისტიან ქართველს ან გაეცინა, ან დაყვირებით გაეჯავრებინა, ან კენჭი ესროლა და სხვა ამგვარნი, ამ ქართველს უსათუოდ სიკვდილით სასჯელი ელოდა და მამულების წართმევა. ეს ეპატიებოდა მაშინ, როცა იგი გათათრდებოდა.

2) ჯამეს წინ თუ გაეკლო ქართველს და აქ რამე სიტყვა ეთქვა თათრის წინააღმდეგ, ან ჯამეში ლოცვის, ბანვისა და სხვა დროს, იმას სიკვდილი ელოდა, პატიება მხოლოდ გათათრების მეოხებით მოხდებოდა.

3) ქართველს აგინა თათარმა, შეუგინა ყველაფერი, ქართველმაც პასუხი მისცა და სამაგიერო გადუხადა სიტყვით, ან საქმით, და შეუგინა ზოგიერთი რამ სარწმუნოების მხარეები, მას სასჯელად სიკვდილი ელოდა, სიკვდილი ეპატიებოდა გათათრებით.

4) ქართველმა თუ თათრის სასაფლაოზე გაიარა და იქ რამე დაპილწა, იმას სასჯელად ეკუთვნის დარბევა, მამულების წართმევა. ეს ეპატიება მხოლოდ გათათრებით.

5) ქართველმა თათრის «მეჯლისს» ყადებს, მათ მასლაათს და ხაფიზ (ღვთის-მეტყველი) ხოჯებს პატივი არ სცა ედოვნ-ხანაში, მის სასჯელად დარბევა და მამულების წართმევაა, პატიება გათათრებით ელოდა.

6) ქრისტიანმა ქართველმა ქართველისაგან ფული ისესხა და აღარ მისცა, ან ფული დასტყუა და უარი სთქვა, ამხანაგი იყო და ამხანაგს ულალატა და ფული გამორჩა, იმუშავა და ფული არ მისცა, იყიდა რამე და სამაგიერო არ გადაუხადა, ყველა ეს მას ეპატიებოდა გათათრებით.

7) ქართველმა მოკლა თავის მამა, დედა, ცოლი, დაჲ, ან ძმა, გინდ სხვა მონათესავენიც და მასთან აიკლო დახოცილის ოჯახიც, ქართველს ყველა ეს ეპატიებოდა გათათრებით.

8) ქართველმა იქურდა, გაჰქურდა ეკლესიები, ეკლესიების ნივთები აქა-იქ დაჰყიდა, ამას გარდა მოჰკლა მღვდელი, მთავარი დიაკონი და აიკლო მათი სახლ-კარი, მას პატივება ელოდა მხოლოდ გათათრებით.

9) ქართველს საფაშო ხარჯი, რომ ვერ გადაეხადნა და გინდ სიღარიბის გამო მას ამის გადახდა ვერ შესძლებოდა, ამის პატივება მას გათათრებით ელოდა.

თუმცა მესხელ და ჯავახელ ქართველ ქრისტიანებს დაუწყეს გადაგვარება, მაგრამ იყვნენ მათში ისეთნიც, რომელნიც თვით უკანასკნელ სისხლის წვეთამდინაც კი იღვწოდნენ მწარედ, ყოველნაირ საიდუმლო საშუალებას ხმარობდნენ და თათრობას კი არ უკავშირდებოდნენ, თუ უკავშირდებოდნენ და იმასაც ისე, რომ ისლამთან ერთად ქრისტიანობას არ ჰკარგავდნენ და საიდუმლოთ ინახავდენ, გარეგან კი ისლამს აღიარებდნენ. ასეთ ჩუმ ქრისტიანთ ქართველთა რიცხვმა ჯავახეთში 1830 წლამდე მოახწია, ასევე იყო მურღულის ხეობისაკენ და პირხალში, რომელ ქრისტიანეთ მომსწრეთ და მნახველად ითვლებოდნენ გრიგოლ გურიელი და დიმ. ბაქრაძე. მურღულის ჩუმ ქრისტიან ქართველთ მოძღვარი ღებრაძე ყოფილა, — მღებროვი, ტრაპიზონში ნამყოფი, ბერძნების სკოლაში ნასწავლი და იქვე ნაკურთხი იყო ბერძნის ეპისკოპოსისაგან. საინტერესო აქ ერთი ის არის, რომ ტრაპიზონის ბერძენთ სკოლაში გაზრდილს ქართველს და მასთანვე ბერძნულის ენით განვითარებული ქართული ენა და ისიც ძველი ხუცურის წიგნების კითხვა ისე კარგად სცოდნია, რომ მას თავისუფლად შესძლებია ქართული წიგნების კითხვა და მასთანვე დიდის შიშით და ძრწოლით ქართული ენით ქადაგება, იმ ენით მოქმედება და გრძნობა, რომელი ენაც ოსმალთაგან სასტიკათაც იდევნებოდა.

ოსმალეთის საქართველოში, აქა-იქ, სადაც-კი ქართველთ შეინახეს მამა-პაპეული სჯული და ენა, მათში სამღვდელონი ყოველთვის ერთის ოჯახიდგან გამოდიოდნენ. მღვდელი მამა რომ მოკვდებოდა, მისი სიკვდილის შემდეგ მღვდელობა შვილს რჩებოდა, რომელსაც თვით მამა ამზადებდა, მომზადების შემდეგ ამ სამღვდელო პირს ტრაპიზონს გზავნიდენ და იქ აკურთხებინებდნენ ბერძნის ეპისკოპოსს. ქართლსა და იმერეთში გადმოსვლას კი ვერ ბედავდნენ, რადგანაც ოსმალთა სასულიერო წოდებისა ეშინოდათ, რომ არ შეგვიტყონო. რამდენსაც ოსმალნი რომელიმე კუთხის ქართველთ უფრო სტანჯავდნენ სარწმუნოების ცვლილებისათვის, იმდენი საუკეთესო ქართველნი და მებრძოლნიც იქ უფრო ხშირად ჩნდებოდნენ. ასეთია, მაგალითებრ, ჯავახეთი და მესხეთი.

ასპინძის ომის შემდეგ ოსმალთა ჯავახეთში არამც თუ მართლ-მადიდებელთ, არამედ ქართველ კათოლიკეთაც კი დაუწყეს დევნა. არსად აღარავის სიტყვის თქმის ნებასაც არ აძლევდენ და რამდენიმე ალაგას სტანჯეს ქრისტიანები. ასპინძის, სოფ. ბალაჯარის და ახალ-შენის ქართველი კათოლიკეებიც კი დასაჯეს და გაათათრეს ასპინძის ქვესა კაცები

ზუბალაშვილები და სხვანი, რომელთა შთამომავალ ფანატიკ ზუბალაშვილების დღესაც სცხოვრობენ ასპინძას და ზოგნი ოსმალეთშიაც წავიდნენ. ამ დროს, ოსმალნი ისე აღმხედრდნენ ქართველებზედ, რომ მათ წინააღმდეგ ველარას აწყობდნენ თვით ქართველთ მხნე პატრეტიც. სწორედ ამ დროს გაათათრეს მათ დიდი ძალი ქართველ კათოლიკებისა. თუმც ასეთი საშინელი გარემოება დატრიალდა ოსმალთაგან, თუმცა ქართველთ დევნის ზომა საზღვარს გადავიდა, მაგრამ ამ დროსაც კი ქართველთ შორის არ მოსპობილან აქა-იქ თითო ოროლა ჩუმი ქრისტიან მოძღვართ რიცხვი, რომელთაც ხალხში აქა-იქ თავ გადადებითაც უღვაწნიათ. ასეთი პირების რიცხვს ეკუთვნიან ვასილი და საბა მღვდელი ორბელიანები, რომელნიც XVIII საუკუნის დამლევს სცხოვრობდნენ, გრიგოლ მღვდელი, დესპოდე ეპისკოპოსი, ტომით ბერძენი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** როგორც «ცნ. ფურცელს» შეუტყვია, უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია ამიერ-კავკასიაში სამკურნალო საქმე გაუმჯობესოს. აზრად აქვთ თითო მაზრაში ორ-ორი სასოფლო-სამკურნალო დაარსონ და ორ-ორი საფერშლო ადგილი მოაწყონ. ამ ყამად სასოფლო მკურნალობის საჭიროებისათვის ამიერ-კავკასიაში იხარჯება 214,000 მანეთი; ახალის გეგმით კი დაიხარჯება 920,000 მანეთი.

*** «ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა» კამგეობა სთხოვს «ცნ. ფურცლის» რედაქციას, რომ მოაგონოს საზოგადოების წევრებს, დროზე წარუდგინონ კამგეობას საწევრო ფული. ამ ორი თვის წინად, როგორც „ცნობის ფურცელმა“ აღნიშნა, 1000 წევრში მხოლოდ 60 კაცს აქვს საწევრო ფული წარდგენილი.

*** ეხლა ხან გამოსულ „Ежег. Минист. Финансовъ“-ში დაბეჭდილია საყურადღებო ცნობები მოწამეულობელობის შესახებ. შიდა (ევროპის) რუსეთში 1896 წელს სულ 429,437,000 დესეტინა მიწა იყო. აქედან

ხაზინას ეკუთვნოდა . . .	140,8	მილ. დეს.
თავად-აზნაურთ . . .	55,5	„ „
სხვა მესაკუთრეთ . . .	29,3	„ „
საუფლისწულო უწყებას . .	7,6	„ „
ქალაქებსა და დაწესებულებებს .	6,3	„ „
გლეხთა საკუთრება . . .	23,5	„ „
გლეხთა სანადელო . . .	110,6	„ „

*** განქორწინების საქმის გასაადვილებლად და მოსაწესრიგებლად ნოემბრის დამლევს განსაკუთრებული კომისია შესდგება. ჰფიქრობენ, გამოსტენ ისეთი კანონი, რომლის ძალითაც განქორწინების საქმის წარმოება მარტო ნაფიც ვექილებს შეეძლოთ.

*** ზოგიერთ ერობას შუამდგომლობა აღუძრავს კაიმართოს სამუდამო საგუბერნიო გამოფენები თესლეულისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღისა. ამ გამოფენებთან განსაკუთრებული ინსტრუქტორები უნდა იყვნენ, რომელთაც გლეხებს უნდა ასწავლონ ახალ მანქანების ხმარება, აგრეთვე ზეინკლობა და მჭედლობა.

*** ქუთაისის საბჭოს ხმოსანს ს. ი. წერეთელს მოხსენება შეუტანია ქალაქის გამგეობაში და ურჩევს ქალაქს, ქუთაისიდან რიონის სადგურამდე გაიყვანოს სადორიის ტყეში რკინის გზის ლინდაგი ელექტრონულ ტრამვაისათვის. „ამით, ამბობს ბ. წერეთელი, ქალაქს დიდი სარგებლობა მიეცემა, რადგან ქალაქის მამულების ფასი საფორიაში ერთი ორად იმატებსო“. ურჩევს ქალაქს თვითონ იკისრონ ამ გზის გაყვანა. „მაგრამ, თუ ქალაქი რაიმე მიზეზის გამო ვერ შესძლებს ამას, იმ შემთხვევაში მე მომეცით ეგ საქმე საკონცესიოთოო“. მოხსენებას მოამავალ სხდომაზე განიხილავს ქალაქის საბჭო.

*** ქუთაისის მაზრიდან სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაწვევა ჯერ არ დამთავრებულა. გაწვეულთა რიცხვში მოხვდნენ ზოგიერთი ის უმაწვილებიც, რომელნიც ამ ყამად ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში სწავლობენ თურმე. ამ უმაწვილების მშობლებს გამოუცხადეს, დეპეშით დაიბარეთ, რომ ორი დღის განმავლობაში აქ იყვნენო, წინააღმდეგ შემთხვევაში მივწერთ და ჩამოყვანის გარდა, ისინი სასწავლებლიდან იქნებიან დათხოვნილიო. თურმე სათავად-აზნაურო სკოლაში მოსწავლე მოწაფეებს არავითარი შედეგთი არა ჰქონიათ. გვეკვირს, რომ აქნობამდინ ჩვენს თავად-აზნაურობას ამის შესახებ არაფერი უზრუნვია.

*** აზრად აქვთ გამოსტენ ახალი კანონი ქარხნებისა და ფაბრიკების გამართვის შესახებ. განსაკუთრებულ

კომისიის მიერ შემუშავებული კანონი უკვე განიხილა ფინანსთა სამინისტრომ და ეხლა სახელმწიფო საბჭოს წარედგინა.

* * * ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ ახალ ხმოსანთა არჩევნები თფილისში კანონიერად იცნო წარმოებული; ხოლო ხმოსანთა რიცხვიდან გამორიცხა: მე-3 საარჩევნო ნაწილში ბ-ნი ბლეკეტინი, რომელმაც თანასწორი რიცხვი კენჭი მიიღო; 1-ლ ნაწილში კ. ს. სარქისოვი, რომელსაც უფლება არ ქონია კენჭი ეყარა. ამათ მაგიერ ხმოსნებათ შერიცხეს კანდიდატები: ვ. სარაჯიშვილი, ფ. ჭეინი და ნ. გრიქუროვი. გამორიცხა აგრეთვე, თანახმად თხოვნისა, თავ. გ. დიასამიძე.

* * * როგორც გაზეთები იუწყებიან, ფინანსთა სამინისტროში მალე დასრულდება განხილვა იმ პროექტისა, რომელიც დიდი სანია შეადგინა თბილისის გუბერნატორად ეოფილმა თავ. გ. დ. შერვაშიძემ სასოფლო-სამეურნეო თანხების შედგენისა და ხმარების შესახებ.

* * * როგორც გაზეთები გვაუწყებენ, ჩაქვაში 31 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე რკინის გზის ლინდაგის ისართან ექვსი შეიარაღებული კაცი თავს დასტემია საფოსტოსწყლო მამულის ბუჰგალტერს. ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს იგი, ამასთან მძიმედაც დასჭრეს. ბუხგალტერს თან 4000 მანეთი ჰქონია, მაგრამ ძალიან ტოტა წაუღიათ, რადგან ფული დამალული ქონდა თურმე. დაჭრილის მისაშველებლად მუშები გაქანებულან, მაგრამ ბოროტ-გამზრახველთ იმათთვისაც უსროლიათ და ერთი მძიმედ დაუჭრიათ.

* * * ამ დღეებში განჯის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომლის ძალითაც მომავალ დეკემბრის პირველ რიცხვიდან აკრძალულია ეოველ-გვარი თოფიარაღის, ხმალ-ხანჯლის ტარება განჯასა, ნუხსა და შუშაში. იარაღის ტარება თუ ვისმეს უნდა, ამის ნება-რთვა უნდა გუბერნატორისაგან გამოითხოვოს ეოველ წელიწადს—პოლიციმეისტრისა თუ მაზრის უფროსის საშუალებით. ვისაც ნება მიეცემა იარაღის ტარებისა, ჯეროვანად დამტკიცებული მოწმობა თან უნდა ატარონ, რომ პირველივე მოთხოვნილებისამებრ პოლიციას წარუდგინონ.

* * * გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი, ეოველად სამღვდელო ალექსანდრე ძალიან ავად იმეოფება. სასულიერო მთავრობის განკარგულებით, მის მეუფების ავადმყოფობის გამო. [illegible] ეპარქიისა, სურთით. . 5—
[illegible] . . . . . 5—

---

* * * ამას წინად საეპარქიო სანთლის ქარხნის გამგე კომისიამ სთხოვა ქალაქის გამგეობას დაეთმო ალექსანდრეს ბაღის ბოლოში, შესავალთან, 20 ოთხ კუთხა საჟენი მიწა პატარა სადგომის ასაშენებლად სანთლის გასასეიდლად. გამგეობამ განიხილა ეს შუამდგომლობა და შეუძლებლადა სცნო იმისი შეწყნარება. ამ შუამდგომლობას თავის მოხსენებითურთ გამგეობა საბჭოს წარუდგენს.

* * * არავის არ ახსოვს, რომ შორაპნის მაზრაში და განსაკუთრებით ყვირილაში ასე ადრე (7 ნოემბერს) თოვლი მოსულიეოს და ასეთი ეინვა დაეკავებიოს. მოსავალს კარგი პირი უჩნდა, მაგრამ ძალიერ გაფუჭდა ეველაფერი. ეველაფერი გაძვირდა—განსაკუთრებით ხეტუე გაძვირეს.

* * * ყვირილაში ახლად აშენებული თეატრის შენობა, სანამ დახურავდენ დაირღვა. მცოდნე პირებმა შეამოწმეს და კედლების დარღვევის მიზეზად ბაღავრის ზერელად ამოჭრა დასახელეს. ოსტატი ამბობს, რომ ბაღავერი არ ამომაეანიეს ღრმათო, ხოლო ადმაშენებელი კომიტეტი კი—კედლები არ არის კარგი ნაშენებიო.

* * * სეკეკლესიო მუზეუმმა ბერუჩაშვილისაგან 30 მანათად შეიძინა ბროლის მოგარაეებული სურა კათალიკოზის ანტონ II-ისა შემდეგის ზედ-წარწერით: „სარქოთველოს კათალიკოზის მეფის ძის ანტონისა არის: წელსა ჩეია თოუ[illegible]ესა აგვისტოსა იე“.

ქორონიკონი ჩეია უდრის 1811 წელს და სწორედ ამ წელს ანტონ კათალიკოზი, ძე მეფის ერეკლე მეორისა, რუსეთში გადასახლეს და მის მაგიერ დანიშნეს ექსარხოსად მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი. უწმიდესი კათალიკოზ-პატრიარქი ანტონი II გარდაიცვალა პეტერბურგს 1827 წელს.

* * * აზრადა აქვთო ეველა საავადმეოფოში სიჩეგრის წიგნები შემოიღონო. უკმაეოფილო ავადმეოფსა და კარედან მოსულთ შეეძლებათ თავიანთი სიჩეგარი ამ წიგნში ჩასწერონ ხოლმე. სიჩეგრები ალბად ავადმეოფის კარდაცვლის შ[illegible] [illegible]ეოფილებით და ქიმიურ-ბიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. კადამდების სენითა და სულით ავადმეოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

განცხადებიან

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიში, ქუთაისში—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში, ძმ. ჭილაძეების და ვ. ბექანიშვილის წიგნების მაღაზიებში და ყვირილაში—თვით გამომცემელთან.

1. საეკკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკკლ. უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სეროზა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანის სრულს თვეთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვ. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 50 კ. და უყდოთ . . . 40 კ.
2. წესი სინეულის ზიარებისა და ვრცელი პანაშვიდისა, ფასი . . . . 10 კ.
3. ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 30—
4. კონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 40 კ. კარგი ყდით . . 60 »
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . . . 5 »

2, სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება სალმრთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც უწმ. სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო სალმრთო სჯულისა საეკკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დაწყების სკოლებში—ფასი . 30 კ.
2. იგივე დარიგება სალმრთო სჯულის სწავლაზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლებ ს ნიშნებით—ფასი . . 55 კ.
3. ...ყვიბათი გაკვეთილები სალმრთო სჯუ-
მხოლოდ 60 კაცს აქვს საწევრო ფული ... 15—

** ეხლა ხან გამოსულ „Ежег. Минист. Финансовъ"-ში დაბეჭდილია საყურადღებო ცნობები მიწათმოქმედობის შესახებ. შიდა (ევროპის) რუსეთში 1896

დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . 20 კ.
6. საქართველოს საეკკლესიო ისტორია ფასი 45 კ.

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალი კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან—ფასი . . . 1 მ.
2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . 25 კ.
2. გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 25 კ.
იგივე რუსულ ენაზე . . . 20 »
3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4. თავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5 კ.
იგივე რუსულ ენაზე . . . . 10 კ.
5. ვარძიის მონასტერი, ფასი . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . 2—
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით. . . 2—
4. შობა უფლისა . . . . . 2 კ.
5. მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
6. ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. გზობა სურათით—ფასი . . . 2—
...ამაღ აღდგომა სურათით—ფასი . . 2—
** აზრადა აქვთ გამოსცეს ... ... 2—
ბისა და ფაბრიკების გამართვის შესახებ. განსაკუთრებულ

6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:

1. წმიდა მ-წამე რაჟდენი, სურათით, ფასი . 5 კ.
2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი 2—
3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი . 5—
4. თამარ მეფე, სურათით . , 5—
5. გიორგი მთაწმიდელი . . . 10—
6. იოანნე ზედაზნელი . . . 5—
7. შუშანიკი . . . . . 3—
8. ქეთევან დედოფალი . . . 2—
19. არჩილ და ლუარსაბი . . 5—
10. მეფე დავით III აღმაშენებელი , 5—
1. იგივე ვრცელი . . . . 15 »

7. რელიგიური და ზნეობრივი შინარსის წიგნები და საუბრები:

1. წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი, სურათებით — ფასი 5—
2. როგორ უნდა ემარხულობდეთ — ფასი . 3—
3. ცხოვრება წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . . 2—
4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი . . . . . 5—
5. სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი . . . . 5—
6 ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი. საუბარის შესწავლა იესო ქრისტესი . . . . . 3—
7 შვილების მოვალეობა მშობელთადმი . 3—
8 მშობლების მოვალეობა შვილთადმი . 3—
9 ვინ არიან ჩვენი ცხოვრების მტერნი და როგორ უნდა ვძლიოთ მათ . . . 3—
10 იუნჯებლით საუნჯესა ცათაშინა . . 3—
11 საუბარი ღვთის სიტყვაზე . . . 3—
12 — შრომაზე . . . . 3—
13. სამგვარი სიკვდილი . . . 5 »

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

1. მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
2. ესთერი (მოთხრობა დაბადებიდამ) სურ. 5—
3. სიბრძნე იესო ძისა ზირაქისა, სურათით. . 5—
4. იოსები . . . . . 5—

ხატები და მხატვრობანი.

იმექონებიან პატარა იაფ-ფასიანი-ხატები ფიცარზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არიან: მაცხოვრის, ღვთის-მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა დღეთ თორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართველოში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახდება. ამასთან იმექონება სქელ ქაღალდზე ნახატი წმიდა ნინასი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპიით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოსი 5 კ.

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 30 კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

იმექონება აგრეთვე მრავალი პატარა გულსაკიდი ხატები ფერკადლუვალი ლითონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესი, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ვინც ასს დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგზავნით დაეთმობ. სამ მან. ესეთი იმექონებიან ვერცხლისაც, ფასი 40 კ.

11. მხატვრობანი სას. და საერო მოღვაწეთა.

1. შოთა რუსთაველი. . . . . 25 კ.
2. აკაკი წერეთელი . . . . 25 კ.
3. თამარ მეფე . . . . 25 კ.

იმექონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

საავადმყოფო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ საავადმყოფო არ ღებულობს.

სასარგებლო ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე
(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.), 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მახალოგოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რაჩან-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

ყვირილაში მოდის ბათუმიდან:

ფოსტის მატარენელი ნაშუადამევის 4 საათსა და 18 წამზე.

სახალხო მატარებელი—ნაშუადღევის 2 საათსა და 18 წამზე.

საგარაკო მატარებელი მოდის ქუთაისიდან და ბათუმიდან დილის 6 საათსა და 6 წამზე.

საღამოით—5 საათსა და 28 წამზე.

გადის ყვირილიდან ფოსტის მატარებელი ნაშუადამევის 3 საათსა და 30 წამზე.

სახალხო—საღამოით 4 საათსა და 25 წამზე.

საგარაკო—დილით 7 საათსა და 8 წ.

საღამოით—7 საათსა და 20 წ.

დ. საჩხერეში

მასწავლებელი სერგი ჯინჯველაშვილი ასწავლის ქართულს გალოგას

ნოტების საშუალებით.

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: ეკლესიაში კითხვის შესახებ.—უწმ. სინოდის ქონებრივი მართველობისაგან.—მეტრიკული წიგნის წარმოების შესახებ.—პასუხად კითხვისა... (ლექსი). თ-დი როსტომ-გუძა ჩიქოვანი.—ნეტარ არს კაცი (ლექსი), მისივე.—ახლად გამოსულს სამწერლო ასპარეზზედ (ლექსი), ეგიმარჩონი.—ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

—განცხადება.

—სასარგებლო ცნობანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою 16 ноября *1902 г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.

რომელიღაც ვარსკვლავი: დინჯათ ზემოთ მოდიოდა, თან-და-თან მიახლოვდებოდა მე და ბოლოს ჩემის ქოხის კარებთან გაჩერდა. მე იმწამსვე დავემხვე პირ-ქვე და ძილს მივეც თავი, სიზმარში მომესმა ხმა: „ოი ჰასპარ შენმა სარწმუნოებამ აჯობა. კურთხეულ იყავ შენ! ორს სხვა პირებთან, რომელნიც მოვლენ შორეულის კუთხიდან შენ იხილავ მას, როგორც აღთქმული გაქვს და იქნები მისი მოწამე. ადექი დილით და წადი მის სანახავად სასოებდე სულზე, რომელიც წარგიძღვება შენ“.

როდესაც დილით გამომელვიძა მე ვიგრძენ ჩემთან სულის არსებობა, შუქის მსგავსად, რომელიც მზეზე ძლიერი იყო. განვიძარცვე ჩემი მწირული სამოსელი და კვლავინდებურად ჩავიცვი, თან წამოვიღე ერთს ადგილს დამალული საუნჯენი. ახლო გემი იდგა, ჩავჯექი შიგა და წამოვედი ანტიოქიაში, იქვე აქლემი ვიყიდე. ორონტის გარშემო მდებარ ბალჩა-ბოსტნებიდან მე მივედი ემესში, დამასკოშ ბოსტრაში, ფილადელფიაში და იქიდამ აქა. აი, ჩემო ძმებო ჩემი ისტორია. ახლა მეც გავიგონო თქვენი ნაამბობი.

მდ. კ. ანთაძე.

(შემდეგი აქვს).

* *

დრომ უკუდმართმან შესტვალა
წინა დროების ყამები;
ადარ სადგურებს ჩვეულებრ
მოუვსური წმიდა ვალები;
თან-და-თან ფერად იმოსავს
წელნი, დღენი და წამები,
ესრეულ ტვალებად დრო-ყამსა
ფფიქრობ ვერ შეეხარები!

—

ეს უმაღლესი ქმნილება
ბუნების უხვი შემკული,—
ღამის დაეცეს, დაკნინდეს
გაუფერანდეს მას გული,—
წრფელი გონების ნატვალი
სხვას მიაწოდოს მზაკვრული,—
მწიკვლი, უნდობი, სავნები,
აუტანელი, გზა-კრული.

—

ქვეყნის დიდება, სიჩინო,
ზენა ნამტენები ძალები,—
დიადი, წმიდა, უბიწო,
ეველასგან სათაყვანები,
სადა ვიპოვო, ვის ახლავს,
ძველების [illegible]
ამა დანაკარგს დავსტირი
სვე-ბედით განამწარები.

—

ბუნებამც ვერ შეიფერ
ესოდენ უნდო ქმნილება,
ცას შეშოერტეა ბურუსი
და მიწას ღამის ხრწნილება;
ოდეს დაეურებს ჩვენს ცოდვებს
მზის სხივიც არ გვეფინება,
და შავს ღრუბელში შთანთქმულსა
ტრემლებიც აედინება.

—

ნეტავ რა არის, რა მოხთა,
რას განურეგნია სოფელი?
[illegible] ოვლან სიყვარულ
იმედის მომთხრობელი?
ნუ-თუ ძალ-მოძრეობისგან
დადუნდა გული მკრძნობელი,
და არ ენდობა მის-გამო
გინდ იოს კეთილმეოფელი!

—

ამას დავსტირი, მას მოვსთქვამ,
ეს არის ჩემი დარდები,
დღე-დღე ცოდვების მორევში
ხედავ რომ მეცა ვვარდები,
მაგრამ სანემდის ცოცხალ-ვარ
მათ ვედარ შეეფარდები,
დაე დავდახვრდე ისრითა
მე მოუვსს ვესეკვდები!,.

როსტომ—გუძა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

როგორც ვიცით, ინგლისური პრესა დიდს ყურადღებით ეკიდება შორეულ-აღმოსავლეთის საქმეს და დიდის ინტერესით მოელის რუსეთ-იაპონიის დავის გადაწყვეტას. დიდი ინგლისური გაზეთები ყოველ დღე მოწინავე წერილებს უძღვნიან ამ საქმეს. ინგლისურ გაზეთებს, რასაკვირველია, ისიც ძლიერ ეინტერესებათ, როგორ მოიქცევიან ამ საქმეში [illegible] ვის ძმარს დაიჭერს და ვის მიუდგება. ჯერ-ჯერობით იაპონიას ინგლისი ჰყავს მოკავშირედ, რუსეთს კიდევ საფრანგეთი. „დეილი მეილ"-ი სწერს ამის თაობაზე:

შორეულ-აღმოსავლეთის საქმეში იაპონია და ინგლისი ერთს მხარესა დგანან, რუსეთი და საფრანგეთი მეორეს. საინტერესოა, ჩინეთი, გერმანია და შეერთებული შტატები როგორ-ღა მოიქცევიან ვის დაუჭერენ მხარსა. ეჭვი არაა, ჩინეთი იაპონიის პირს დაიჭერს. ადვილი შესაძლებელია, რომ შეერთებულმა შტატებმაც იაპონიის მხარე დაიჭირონ და დახმარებაც გაუწიონ. სიტყვა ის არის, როგორ მოიქცევა საფრანგეთი: რუსეთს დაეხმარება, თუ არა? კავშირის ძალით, საფრანგეთმა შორეულ-აღმოსავლ[illegible] მარტო ევროპაში უნდა გაუწიოს დახმარება? თუ საფრანგეთმა რუსეთს უარი უთხრა შველაზე, შესაძლებელია, ამ სახელმწიფოს ადგილი გერმანიამ დაიჭიროს და რუსეთს უშველოს. ამ შველით გერმანია რუსეთის გულს მოიგებს და შორეულ-აღმოსავლეთში საკუთარ სამფლობელოს გაიფართოვებს. დასასრულ გაზეთი ურჩევს ინგლისის მთავრობას, მეტად ფხიზლადა და წინდახედულად უნდა მოიქცეთ და თუ ვინიცობაა შორეულ-აღმოსავლეთში რამე დიდი ამბები ასტყდეს, ინგლისიც მზად უნდა იყოსო.

* * *

ფრანგულ გაზეთში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი იაპონიისა და ჩინეთის ურთიერთ დამოკიდებულობის შესახებ. იაპონია თანდათან უახლოვდება ჩინეთს და სცდილობს გაანთავისუფლოს ევროპიელთა ზედ-გავლენისა და მზრუნველობისაგან. ამ მხრივ იაპონელებს ეხმარება საერთო ნათესაობა ორ ტომთა შორის. განვითარებულმა იაპონელებმა კარგად შეისწავლეს ჩინელების ხასიათი, ფსიხოლოგია, ენა და ზნე-ჩვეულება და თანდათან ნდობა და პატივისცემა მოიპოვეს. ჩინეთში გადასახლებულ იაპონელთა რიცხვი მრავლდება. ამ ჟამად იქ სცხოვრობს 4,000 კაცზე მეტი. პეკინში წელს 500 იაპონელი არის. ჩეილის ვეცე-კოროლს ცოლად იაპონელი ქალი ჰყავს. ყველა ვიცე-კოროლები სიამოვნებით აძლევენ ნებას იაპონელებს დასახლდნენ კიდეც ჩინეთში და აღებ-მიცემობაც იქონიონ. იაპონელებმა ჩინეთში, მთავრობის დახმარებით დააარსეს ჩინეთ-იაპონიის ბანკი, რომელსაც დასაფუძნებელ თანხად 50,000,000 ფრანკი აქვს. ჩინეთის ფოსტა და პოლიცია იაპონელებმა მოაწესრიგეს. ახალ კანონ-პროეკტებს იაპონელები უდგენენ. ჩინელი ახალგაზდობა იაპონიის უნივერსიტეტში ამთავრებს სწავლას. იაპონელი სტუდენტები-კი მოგზაურობენ ჩინეთში და აკვირდებიან ჩინელების ცხოვრებას. იაპონიის ოფიცრები ჩინელ ჯარის-კაცებს სწვრთნიან და ასწავლიან სამხედრო საგნებს. პეკინში საავადმყოფო არსდება, რომელიც იაპონელ ექიმებს ჰაპბარდება. შარშან ერთმა ჩინელმა პრინცმა ტოკიოში სიტყვა წარმოსთქვა ამ ორ სახელმწიფოთა დაახლოვების შესახებ და, სხვათა შორის, სთქვა: კავშირი, რომელიც არსებობს ამ ორს,—კავშირი გვარ-ტომობითი, მწერლობითი და საერთო ინტერესებზედ დამყარებული, მომავალში უფრო მჭიდროდ დააკავშირებს და ორთავეს წარმატების გზაზე დააყენებს. ამ გზით მოელის აზია განახლებასა და აოროძენებას.

სპენსერის დასაფლავებას ინგლისის მწერალ-მეცნიერთა მცირე რიცხვი დასწრებია. სიტყვა უნდა წარმოეთქვა ჯონ მორლეის, მაგრამ სიცილიისაკენ მიემგზავრებოდა და დასაფლავებას ვერ მოუცადა. მის ნაცვლად სიტყვა წარმოსთქვა ლეონარდ კურტნეიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ ისტორიაში არ არის მაგალითი იმისთანა ვრცელის განზრახულების დამთავრებისა, რაც სპენსერმა მოახერხა სხეულით უძლურმა და ნივთიერად ღარიბმა, სადიდო ღვაწლი სპენსერისა ის არის, რომ იმან გარმონიულად დააკავშირა უსაზღვრო და ცვალებადი დიდი ხნის ნაშრომი ადამიანის გონებისა—ფიქრი, რწმენა, მეცნიერება. სპენსერი მაღლა აყენებდა გუმანიურს მხარეს და დიდს ყურადღებას აპყრობდა ეთიკას. შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა კირიონ ვარმა და განაცხადა, რომ სწირავს საჭირო თანხას სპენსერის ფილოსოფიის კათედრის დასაარსებლად ოქსფორდში და სურს ესეთივე კათედრა დააარსოს ლონდონშიაც. სპენსერის მთარგმელმა ჩინურს ენაზედ ჩინეთის დიპლომატმა ტენ-ჩონ-სუმ მწუხარება გამოაცხადა ჩინელების სახელით სპენსერის გარდაცვალების გამო.

ახალი აზრები და შენიშვნები.

* ჩვენ მივიღეთ ახლად გამოცემული წიგნი
** „ბიჭია რაფველი“ (საუბარი მღვდლისა მრევლთან ბიჭიას დაბადებასა, აღზრდასა და ცხოვრებაზედ), შედგენილი მღვდლის ალ. შარაბიძისაგან და გამოცემული მღვდლის ბასილ შარაბიძისმიერ. წიგნი [illegible]ესდგება 100 გვერდისაგან და ღირს 20 [illegible]ეკად.

* ქუთაისის ქალაქმა სიგორიის «დაჩაზე» ს-
** ფიჩხიის ეკკლესიის ახლოს გახსნა სასაფლაო ქუთაისის ქალაქის მცხოვრებთათვის. ქალაქის თვითმართველობა განაგებდა ამ სასაფლაოს საქმეს. არ არის დიდი ხანი, რომ სასულიერო მთავრობამ მოითხოვა, რომ ამ სასაფლაოს გამგეობა სასულიერო წოდებას გარდასცემოდა. საქმე ქრთლ-კახეთ-იმერეთის სინოდალნი კანტორამ უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს მოახსენა. უწმიდესმა სინოდმა ყოველივე ცნობა ამ საქმის შესახებ მოახსენა შინაგან სამინისტროს და სთხოვა, რომ სასაფლაოს გამგეობა სასულიერო გამგეობას მინიჭებოდა. დღეს [illegible] საქმე გათავდ[illegible] სასულიერო წოდების [illegible]ბლოდ.

* უმაღლესის ბრძანებით 1901 საზღვარ-
** გარეთელ ფირმებს ნება მიეცათ უბაჟოდ შემოტანა რუსეთში მცენარეულობისა, ვაზისა და სხვა რფას კულტურის გამანადგურებელ მწერებთან საოლ-ველი იარაღი და მოწყობილება. 18 დეკემბერს სრულდება უმაღლეს ბრძანებით დადებული ვადა იარაღის უბაჟოდ შემოტანისა. რადგან მთს კავკასიაში და განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში წელს ისეთი ცუდი მოსავალი იყო, რომ მცენარეთ უბაჟოდ შემოტანილ იარაღის შეძენაც-კიაუჭირდებათ, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცეპრეზიდენტმა უგან. თავ. ბ. გუზინსკიმ საზოგადოების სახელით შუამდგომლობა ღძრა მინათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, გამოითხოვოს უმაღლესად ნებართვა, რომ იარაღების უბაჟოდ შემოტანის ვადა კიდევ იქნას გაგრძელებული.

* შობა დღეს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკ-
** ესიაში პირველად სწირა ყოვლად სამღვდელო თეოფანემ, ეპისკოპოსმა ალავერდიისამ. ყოვლად სამღვდელომ დღესასწაულის შესაფერი სიტყვა წარმოთქვა.

* „ივერიას“ შეუტყვია, რომ 14 იანვარს,
** ნინოს დღეს, კიევის სასულიერო აკადემიაში ართულ წირვას აპირობენო.

* იმავე გაზეთს გაუგია, რომ ერთი ქართველი
** ენების მეტყველების კანდიდატი ამ მოკლე ხანში [illegible]ეუდგება საქართველოს საეკკლესიო ისტორიის [illegible]ედგენას რუსულს ენაზედ. ამ ისტორიას წარუდ-ენს კიევის სასულიერო აკადემიას მაგისტრის [illegible]არასხის მისაღებად.

* ბათუმიდან გვწერენ: ბათუმის ქალაქის
** [illegible]ეით-მართველობას აქვს სახალხო სამკითხველო, [illegible]ომელიც ეს მეორე წელიწადია არსებობს. ქალაქი [illegible]ძლევს ხარჯად ათას მანეთს. ამას გარდა სამკითხვე-[illegible] [illegible] [illegible]ბ[illegible] [illegible]ეთაგან [illegible] [illegible]ეას კვირველია, სამკითხველოს ეს ფული ვერა [illegible]ყოფნის, ამიტომ წარმოდგენები[illegible] [illegible]ბ[illegible] [illegible]ბლოდ. 22 დეკემბერს სწორედ ამ სამ[illegible] [illegible]ეაზნი [illegible]ენა თეატრში. წარმოსადგენათ დანიშნული [illegible]იყო ოთხი პატარა სხვა-და-სხვა პიესა, სხვათა მორის, სცენა დოსტოევსკის რომანიდან «დანაშაული და სასჯელი». მარმელადოვის როლი უნდა ეთამაშნა „ჩერნომორსკი ვესტ.“-ს რედაქტორს ბ-ნ პალმს. გამოვიდა ბ-ნი პალმი სცენაზე თუ არა, თეატრში ასტყდა ყვირილი და სცენაზე დაიწყეს სროლა დამპალ ვაშლებისა და ლაყე კვერცხებისა. ჰყვიროდნენ, რომ პალმი სცენიდან წასულიყო. თეატრში მყოფნი აირივნენ. ერთ ქალს გული წაეკიდა, მეორეს ისტერიკა დაემართა. იძულებულნი შეიქმნენ ფარდა ჩამოეშვათ და ეს პიესა ადარ ეთამაშნათ. პოლიციამ ამის გამო დაიჭირა ექვსი კაცი, როგორც უწესობის მომხდენი. ბ-ნ პალმის სცენიდან გასვლის შემდეგ დანარჩენი პიესები შესრულებულ იქმნა ისე, რომ თეატრში წესიერება არ დარღვეულა.

(„ცნ. ფურ.“)

1902

სწავლა და მეცნიერება ქრისტი-ნობრივ სარწმუნოებასა და ევროპ-ულ ცხოვრებაზე.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ,

თქმული 13 ქრისტესშობისთვეს, ფარცხისაანვანეის ᲫᲘᲚᲔᲡᲘᲐᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐᲖᲔ.

სახელითა მამისათა, და ძისათა და წმიდისა სულისათა.

უყურებ-რა ამ თქვენ მშვენიერს, ძვირფასს [illegible] ღვთის მადლით [illegible] ერთი დიდათ საგულისხმ[illegible] მეხატება გონებაში [illegible] დიდათ შესანიშნი გარემოება ებრაელთა ძველ[illegible] [illegible] ის ციური გვირგვინი თქვენი სა[illegible] [illegible] ბლის სვეტს, რომელიც წინ უძღოდა ებრაელებს, როდესაც მათ თავი დაალწიეს ეგვიპტელთა მძიმე ტყვეობას და მიეშურებოდნენ თავიანთ სამშობლოსკენ, სვეტს, რომელიც, გარდა გზის ჩვენებისა, დღისით იფარავდა ებრაელებს მზის სიცხისაგან, ღამე უფანტავდა მათ სიბნელეს და ყველა ამასთან ერთად უჩინარ და უვნებელ ჰყოფდა მათ მტერთა, მდევართა და ავაზაკთაგან. ესეთი სასწაულებრივი სვეტი მოევლინათ ებრაელებს შემდეგ იმისა, რაც მათ ჰსცნეს თავიანთი დანაშაული წინაშე ღვთისა, შეიგნეს სიმწარე ცოდვისა, ღვთის მცნების გარდასვლისა, შეინანეს ყველა ეს წრფელათ და წმინდა გულით შესთხოვეს უფალსა შებრალება, შეწყალება, დახმარება, ნუგეშისცემა და ხელის აპყრობა.

თქვენც, ძვირფასნო მსმენელნო, როდესაც არ აქცევდით ჯეროვან ყურადღებას ღვთის სახლს, როდესაც თქვენი სამლოცველო წარმოადგენდა საბრალო გლეხის ქოხის მსგავსებას, რა კითხი უნდა, დამნაშავენი იყავით წინაშე ღვთისა, მძიმე ცოდო და დიდი პასუხისგება გაწვათ კისერზე, მაგრამ აკი წრფელათ შეინანეთ ეს დანაშაული, აკი ბოლოს ცხადად შეიგნეთ თქვენი საღმრთო მოვალეობა, აკი ღვთის სახელის ხსენებით, ღვთის იმედით შეუდეგით დიდებულ საქმეს და, აჰა, დასტკბით და გაიხარეთ დღეს—უფალმა შეისმინა ხმა ვედრებისა თქვენსა, უფალმა შეიწირა თქვენი ოფლი და შრომა [illegible] ოთორად, სიამოვნებით და უგანსაცდელოთ [illegible] მთავრებინათ ეს ჩინებული ტაძარი, [illegible] [illegible] ღვთის წყალობისა, [illegible] ილებული ცხოვრებისა და საუკუნო ნეტარებისა! დასტკბით, მოხუცებულნო და მოზარდნო, თქვენი სამლოცველოს მშვენიერებით, ისიამოვნეთ, ქალნო და კაცნო, თქვენი ოფლით აშენებული ღვთის სახლის სილამაზით, გარნა გახსოვდეთ მუდამ და მტკიცეთ გრწამდეთ დიდსა და პატარას, რომ სახლი ესე აიშენა სამკვიდრებლად თვისა თქვენ-შორის უფალმა, მაშასადამე იგი არის ნიშანი ღვთის კურთხევისა თქვენ სოფელზე, იგი არის მაგვენებელი ღვთის სიყვარულისა თქვენ თავზე, იგი არის სვეტი ღვთის წყალობისა, მადლისა და ნუგეშისა თქვენს სამ[illegible] [illegible] ლოზე სწორეთ ისე, როგორც ებრაელთა [illegible] [illegible] ნიშანი ღვთის წყალობისა და სიახლო[illegible] [illegible] დნეხა თავიანთი სამშობლოსი, მათ უჩვენებდა [illegible] და ეგებდა გზას ღვთისგან მინიჭებული სვეტი. [illegible] ჩვენ ულიერნო ძენო და ასულნო ჩემნო, დრო[illegible] ებითდგმურები ვართ ამ სოფლისა, მგზავრები [illegible] და შეული ქვეყნიდამ მოსული სტუმრები ვართ [illegible] აქ დაუდამ გარეთ ვერ დავრჩებით, მუდამ მგზა[illegible] ვრობაა სტუმრობა შეუძლებელია, უნდა ჩვენ[illegible] სამუდამ ბინა მოვძებნოთ, ჩვენი სახლი მოვიკეთ[illegible] ხოთ, ენ სამშობლოში დავბრუნდეთ. მაგრამ სამშობლოსაკენ მგზავრობაში ჩვენ შევეყრებით მრავალგვარედინ გზებს, ათას-ნაირად დახლართულ ბილიკებს, უდაბურ ტყეებს, გადუვალ მთებს, ფართო ველებს, ღვებს, მდინარეებს, ტბებს, ღელეებს და [illegible] შესაძლო, სრულებით დავიბნეთ, სწორე გზას [illegible] დავსცდეთ, გავებათ უგზო-უკვლოთ ტყე-მინდორში [illegible] ვიმოგზავოთ მთელი სიცოცხლე და ბოლოს მაინ[illegible] გარეთ დარჩეთ, ვერ მივაღწიოთ ჩვენ ბინას, ვერ [illegible] ვიხილოთ ჭვირფასი სამშობლო. აი სწორეთ ასაც[illegible] დენად ამ ოსალოდნელი და შესაძლო უბედურო[illegible] ბისა დაგვიშესა მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ